ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 6-12/15040509-16

"02" 09 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი (ვაკე), ჯიქიას ქ. №6-ში (საკ. კოდი №01.14.05.008.005) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია მიშენებით) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1529187 15.10.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი (ვაკე), ჯიქიას ქ. №6-ში (საკ. კოდი №01.14.05.008.005) მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

შეცვლილია რელიეფის დონე, მოაჯირების ნახატი და „ა-ა" ღერძის გარეთ ლიფტის ირგვლივ ვიტრაჟების მოწყობა. ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების მასალა, ხოლო შენობის შიგნით მოწყობილია ლითონის სვეტები. გაზრდილია მიშენების სიგანე 0.40მ-ით, რის ხარჯზეც გაზრდილია ფართი.

„1-6" ფასადი: შენობის ძირში „1-3" მონაკვეთში დეკორატიული აგურით მოპირკეთების ნაცვლად კედელი შელებილია. -0.65 ნიშნულზე „5-5" ღერძთან მოწყობილია საფეხური. „1-2" მონაკვეთში ლიფტის მიმდებარედ მოწყობილია ლითონის დეტალები და მსუბუქი მოპირკეთება. +3.90 ნიშნულზე „1-2" მონაკვეთში არსებული ვიტრაჟის ნაწილი არ არის დემონტირებული.

„ა-დ" ფასადი: „ა-ა" ღერძის გარეთ არ არის მოწყობილი კომპოზიციური პანელით და ქვით მოპირკეთება, ხოლო გადახურვის ქვეშ მოწყობილია გამწოვი მილები.

„დ-ა" ფასადი: შეცვლილია პანდუსის ფორმა და ძირი მოსაპირკეთებელია.

შეცვლილია შენობის მდებარეობა წითელ ხაზებთან მიმართებაში.

არ არის წარმოდგენილი ლიფტის გამოცდის აქტი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ჰ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ფარმინა"-ს, დავით თაბაგარს, ქ. თბილისში, სექტორი (ვაკე), ჯიქიას ქ. №6-ში (საკ. კოდი №01.14.05.008.005) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ((არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია მიშენებით)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/15040509-16 09.02.2015წ. განცხადება.

სამსახურის უფროსი გ. ნიჟარაძე